ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 97242342**

თარიღი:**21/08/2024**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი N-15

დ. ლენტეხი. 15 აგვისტო 2024წ.

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. ესწრებოდა საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი)წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 4(ოთხი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი, მერიის ეკონომიკური სამსახურის მოსაკრებლების ადმინისტრირების, კონტროლის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი ირა გვიჭიანი, ა(ა) ი. პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფროსი გოგი ონიანი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

2.მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

3.ა.ა(ი)პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ა.ა(ი)პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფროსი გოგი ონიანი/

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -17

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანიმა წარმოადგინა ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს შემოსულია 580 სხვადასხვა კატეგორიის განცხადება, რომ სოც სამსახური მუდმივად მუშაობს სხვადასხვა ბაზების შექმნასა თუ ცვლილებების შეტანაზე. კერძოდ შექმნილია:

1. შეჭივრებულ ოჯახების ბაზა - 47 ოჯახი;
2. 80 წელს გადაცილებული, მარტოხელა, სოციალურად დაუცველი -47 ბენეფიციარი;
3. 70 წელს გადაცილებული, მარტოხელა, სოციალურად დაუცველი- 96 ბენეფიციარი;
4. დაუნის სინდრომი -14 ბენეფიციარი;
5. ონკოლოგიური პაციენტი -34;
6. ეტლით უზრუნველყოფა - 11 ბენეფიციარი.

ვრცლად ილაპარაკა სოციალურად დაუცველ შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების მაშტაბურ პროგრამაზე. ამ პროგრამით დასაქმებულია 512 ბენეფიციარი. სეგანსაკუთრებით ხაზი გაუსვა დიალიზზე დამოკიდებულ პაციენტების საკითხს, რომ ცაგერის მინიციპალიტეტში დიალიზის ცენტრის გახსნამ ხელი შეუწყო ა ამ ოჯახების რაიონებში დაბრუნებას.

შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა: გვაინტერესებს ინფორმაცია იმ ოჯახების (ეკოემიგრანტების) შესახებ, რომლებმაც მიიღეს დაფინანსება 30000 ლარი. კითხვა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ოჯახები, რომლებიც იყვნენ ჩასახლებაში, ახლა აკეთებენ კომლად აღდგენას და ამ პროცესს იყენებენ მათ სასარგებლოდ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2019 წლიდან დაწყებული ეს დაფინანსება მიღებული აქვს 30 ოჯახს და ამავე დროს განმარტა, რომ თანადადაფინანსების მიღების პროცესი არის დროში გაწელილი და საკითხს განიხილავს ძალიან სერიოზული სამთავრობო კომისია. შესაბამისად გამორიცხულია, რომ მოხდეს გაორება და ეს დაფინანსება მიიღოს ისეთმა ოჯახებმა, რომლებსაც წინა წლებშო ჰქონდათ ჩასახლება.

შეკითხვა დასვა ამირან ქურასბედიანმა: როგორია დემოგრაფიული საკითხი: მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს არის 50 (ორმოცდაათი) გარდაცვლილი და 19 (ცხრამეტი) ახალდაბადებული.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ანგარიში დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -17

წინაარმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

მოისმინეს: მოსაკრებლის ამოღების და ადმინისტრირების განყოფილების უფროსმა ირა გვიჭიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ:

აზომვით/აგეგმვითი ნახაზების შედგენასთან დაკავშირებით 2024 წლის 30 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება N 108 ი/მ. თორნიკე ფართლაძესთან. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება გამოცხადებული იყო **1200** ლარზე, სამუშაოების შესრულება მიმდინარეობის პროცესშია. 10 ობიექტზე მომზადდა აზომვითი/ აგეგმვითი ნახაზი. შესაბამისად მომზადდა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემა-რეგისტრაციისთვის. ამ პროცესის წარმართვისთვის ვხელმძღვანელობთ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის N233 დადგენილებითა და სხვა კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით ვთანამშრომლობთ შემდეგ სახელმწიფო უწყებებთან: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსიპ-მინერალური რესურსების სააგენტოსთან, სატყეო და საავტომობილო გზების დეპარტამენტებთან, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირდა 2 ობიექტი, მიმდინარეობს საქმის წარმოება 9 ობიექტზე.

2024 წლის 6 თვეშის მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოგვეცა მოძრავი ქონება - ავტოსატრანსპორტო საშუალების სახით 2 (ორი) სპეციალიზებული ნაგავმზიდი, რაზედაც მომზადდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

მომზადდა საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი ობიექტების შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტები და დაიდო ხელშეკრულება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან. შეფასდა 2ობიექტი. და 2 კერძო საცხოვრებელი ობიექტი, (სოფ. ყვედრეშში სტიქიით დაზიანებული სახლები)

საპრივატიზებოდ გამოტანილი იქნა და გაიყიდა შემდეგი ქონება:

1. ა/მანქანა (ავტობუსი) XIM-2956, სახ. N LIG-201, ძრავის N 247106, ყვითელი ფერის, გამ. წელი 2007 - გაუმართავი. **გაიყიდა**

2. ავტომანქანა SKODAOQTAVIA. სახ. NAA-545-JJ. გამოშვების წელი 2011, გაუმართავი. **გაიყიდა.**

3. მომზადებულია და აუქციონზე გატანილია უძრავი ქონება, არასაცხოვრებელი ფართი 716 კვ.მ. (ჭველიერის ყოფილი სკოლაინტერნატის შენობა).

აუქციონზე გასატანი ქონების საერთო ღირებულება იყო (გამოცხადებული) – **18723 ლ.** ლარი, ხოლო გაყიდვის შემდეგ მიღებულმა თანხამ ჯერჯერობით შეადგინა **- 2573 ლ.**

დაბაში კერძო მფლობელობაში არსებულ ბინებზე დოკუმენტაციის მოძიებასა და საკუთრების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით საანგარიშო წელს შემოსულია 4 (ოთხი) განცხადება და მოწმობა გაცემულია სამ მესაკუთრეზე.

ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების თანამშრომლები სისტემატურად ამზადებენ წინადადებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით, მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის შემადგენლობაშია ასევე მოსაკრებლების ადმინისტრირების, კონტროლის და სტატისტიკის განყოფილება. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოსაკრებლების ადმინისტრირების, კონტროლის და სტატისტიკის განყოფილებაში დასაქმებულია 3 (სამი) თანამშრომელი და 1 (ერთი) შტატგარეშე თანამშრომელი, რომლებიც მუშაობას წარმართავენ განყოფილების სამუშაო გეგმისა და მერიის დებულების შესაბამისად, კერძოდ: ახდენენ ადგილობრივ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე წინადადებების შემუშავებას, ადგილობრივი გადასახადებისა და განაკვეთების შემუშავებას კანონით გათვალისწინებულ ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების უზრუნველყოფას, ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას. მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

რაც შეეხება გადასახადებს:

1. ქონების გადასახადი გეგმა - 50,000 ფაქტიური შეადგენს - 61,00 ლარს - 122%;

2. გეგმა რენტა - 250,000 ლარი; ფაქტიურმა შეადგინა - 69,478 ლარი;

3. ადმინისტრაციული მოსაკრებელი: საქონელი და მომსახურება გეგმა: - 50,000 ლარი, ფაქტიური - 24,270 ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი, გეგმა: 9,360 ლარი, ფაქტიური -4,860 ლარი;

4. სანქციები, ჯარიმები, საურავები - გეგმა: 150,000 ლ; ფაქტიური - 32,176 ლარი;

განყოფილების მიერ ხდება დასუფთავების მოსაკრებლების ხელშეკრულების მომზადება ინდ. მეწარმეებსა და იურდიულ პირებთან, 2024 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გაფორმებულია სულ - 40 ხელშეკრულება, აქედან იურდიულ პირზე - 20, ფიზიკურ პირზე - 20. ხელშეკრულების გაფორმების პარალელურად გვაქვს საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქვითარი, ქვითრის ამოწერის შემდეგ ხდება მოსაკრებლების ამოღება შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით. დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება არ ხდება მოსახლეობიდან, რისთვისაც საჭიროა შეხვედრები დაბის მოსახლეობასთან. შეხვედრებში ჩართული უნდა იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები, დაბის მაჟორიტარი დეპუტატი და სხვა პასუხისმგებელი პირები.

განყოფილება მუშაობს წიაღის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხზე, რის შესახებაც წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია სულ 6 წერილი, ლიცენზიის გაცემის თაობაზე, ადგილზე მისვლით და მოსახლეობასთან შეხვედრით შესწავლილია ყველა ობიექტი და მოტივირებული/დასაბუთებული პასუხი თანხმობაზე გაეცა წიაღით სარგებლობაზე 4 ობიექტზე, ხოლო უარყოფაზე 2 -ს.

ამავე განყოფილებაში შედის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. მუდმივად ხდება სტატისტიკური მონაცემების ცვლილება-განახლება ლენტეხის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული, სოციალური, დასაქმებულთა და თვით დასაქმებულთა აღრიცხვა, ასაკობრივი დიფერენცირება/დაყოფა, ბიზნეს სექტორის აღრიცხვა, კომლთა რაოდენობის დადგენა მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების და იქ მომუშავე პერსონალის რაოდენობრივი აღრიცხვა. ასევე აღრიცხულია თითოეულ თემში წარმოებული შინამეურნეობა. ყოველდღიურად გადაეცემა

სტატისტიკური მონაცემები რაჭა, ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას. ეს ყველაფერი ემსახურება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვას. ასევე ინტენსიურად ვმუშაობთ მუნიციპალური განვითარების პროექტებზე.

ეკონომიკის სამსახურის თანამშრომლები სისტემატიურად არიან ჩართული სხვადასხვა ტრენინგებში, რითაც ეძლევათ საშუალება კვალიფიციური დონის გაუმჯობესებასა და ამაღლებაში; კერძოდ, მ/წლის ექვსი თვის განმავლობაში ეკონომიკის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მივიღეთ 6 (ექვს) სხვადასხვა ტრენინგში.

შეკითხვები დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა:

1. სად კეთდება ნაგავმზიდი მანქანების სადგომი?

2. რატომ არის პრობლება ნაგვის მოსაკრებლის ამოღებაზე?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპარგინგე ფართი გამონახულია ახლგაზრდული სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. რაც შეეხება მოსაკრებლის ამოღებას, გადამხდელები აღნიშნავენ, რომ არ აქვთ შესაბამისი მუშაობა და ამიტომ ვერ ახერხებენ მოსაკრებლის გადახდას.

მევლუდ ლიპარტელიანი - კანონის თანახმად ყველას ერთნაირად აქვს ვალდებულა მოსაკრებელის გადახდაზე.

შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა - ინფრასტრუქტურის სამინისტროსი გაგზავნილი გვაქვს მასალა სახელდებაზე და როდის დამთავრდება ეს პროცესი?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით არ ჩანს პასუხი.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის დადებითად შეფასების საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრით:

მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

მოისმინეს: ა.ა(ი)პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფროსმა გოგი ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში - 2024 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ:

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის რაიონული ცენტრის ძირითადი სამუშაოები სრულდება წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. 6(ექვს) თვეში მიღებული აქვთ შეტყობინებები 19 დაავადებაზე. მ.შ. ტუბერკულოზზე, ლეპტოსპიროზზე, ბორელიოზზე, ცხოველის დაკბენაზე, ყივანახველაზე. ყველა მათგანზე ჩატარებულია სრულყოფილი კვლევა. ყველასთან დამდგარია გამოჯანმრთელება. აღნიშნა, რომ განხორციელდა მონიტორინგი შემდეგ დაწესებულებებში:

სკოლები - გეგმა 18. შესრულება 9;

ბაღები - გეგმა 30. შესრულება 15;

სილამაზის სალონი - გეგმა 4. შესრულება 2;

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები გეგმა 36. შესრულება -16.

მონიტორინგის შედეგების შეჯამების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე გაცემულია რეკომენდაციები, რომელიც ძირითადადა წყალმომარაგებას ეხება. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აქვს ხოფურის საჯარო სკოლას და ბაღს, რომლებიც ერთ სივრცეშია განთავსებული.

შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - .თუ რატომ შეიქმნა ხოფურის საბავშბო ბაღში წყლის სისტემის პრობლემა, როცა უახლოეს პერიოდში ჩატარდა ბაღში რემონტი.

პასუხად ხოფურის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ გასულ წლებში ბაღში ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი და არ იყო გათვლილი წყლის სისტემის მოწესრიგება.

აზრი გამოთქვა: ფრაქცია,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ირაკლი ქურასბედიანმა - ძალიან ცუდი მდგომარეობა ამბულატორიებში. არ არის არც შუქი და არც წყალი.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა

_ ძალიან ცუდი მდგომარეობაა დაბაში უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებით და რა გამოსავალი უნდა გამოინახოს ამ კუთხით?

მომხსენებელმა გოგი ონიანმა აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს ამ ცხოველების გადაყვანა თავშესაფარში.

საკითხთან დაკავშირებით იყო გარკვეული მსჯელობა და

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა საკითხი - ანიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის მიერ მომზადდეს ინიციატივა დაფინანსების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასების თაობაზე.

ღია კენჭისყრით:

მომხრე -13

წინაარმდეგი -0

გადაწყვიტეს: ა(ა)ი.პირის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ანგარიში ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი